# თავისუფალი საქართველო

№36

19 - 25 დეკემბერი 1995 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეკემბრის სუსხიან დღეებში ჯვარცმული თავისუფლება

იმ საბედისწერო დილას, როდესაც ქაშუეთის გუმბათის ჩრდილს შეფარებულმა ქვემეხმა პირველად გაისროლა წინასწარ მიზანში ამოღებული ფანჯრისკენ, საქართველო ჯერ კიდევ იმედებით ცხოვრობდა. უკვე ორად გახლეჩილი, უკვე ქაოსისთვის განწირული, სისხლს ნაზიარები, მაგრამ მაინც იმედიანი ქართველები ელოდნენ - ვინ თავისუფლებისთვის მებრძოლი პრეზიდენტის გამარჯვებას, ვინ ევროპული დემოკრატიის ფლაგმანის მიერ დაპირებულ კეთილდღეობას.

იმედიანი ტყვიები სერავდა ზეცას და ადამიანთა სხეულებს, იმედიანად დადიოდა ქუჩებში ათეულ ათასობით უიარაღო გმირი და იმედით გავეშებულ მკვლელებს უშვერდა გულ-მკერდს. და ისინიც კლავდნენ; სასტიკად, ანგარიშმიუცემელი, ბავშური ალტყინებით კლავდნენ თავიანთ თანამემამულეებს ველოში ადამიანად მხოლოდ მაშინ იბადები, როდესაც სასჯელს ჯილდოდ და პატივად მიიღებ.

## გაწირული თავისუფლება

მონობა ვერ გუობს თავისუფლებას ისევე, როგორც თავისუფლება ვერ გუობს მონობის უღელს. დეკემბერ-იანვრის პუტჩის ქვეცნობიერი საწყისიც სწორედ ესაა. გადატრიალება არ იყო მხოლოდ პოლიტიკური ინტერესების გამოხატულება, არამედ სულიერი და ფსიქოლოგიური განწყობის, აზროვნების წესის აგრესია მისი საპირისპირო სამყაროს მიმართ.

რომ არა პუტჩი, საქართველო გახდებოდა და ხდებოდა კიდეც დასტური იმისა, რასაც საუკუნეების მანძილზე ებრძვიან და თრგუნავენ. დასტური რწმენის, თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების

# გახლეჩილი სამყაროს ორი რეალობა

და მათთან ერთად, თავის იმედსაც.

მათ გამოსტაცეს მწყემსს აყვავებული კვერთხი, მაგრამ ხელშივე გაუხმათ... და დაგვიტოვეს გაპარტახებული ქვეყანა, დაქცეული კერიები, წართმეული მიწის ტკივილი, მათხოვრად ქცეული ხალხი - გახლეჩილი სამყარო მწარე რეალობით, რომელიც ჩვენსა და მათ შვილებს მემკვიდრეობად ერგება.

## გამარჯვებულთა ტრაგედია

გავიდა წლები და დღეს, როცა იმ "სასახელო" ომის სარდლები და საველე მეთაურები ან მიწამ შთანთქა, ან უცხოეთში მიიმალნენ, ან ციხის საკნებიდან იმზირებიან, უნებლიეთ გიჩნდება კითხვა: რა უნდოდათ ამ ადამიანებს, რისთვის ირჯებოდნენ, რა ვერ პოვეს ამ სამოთხესავით მშვენიერ საქართველოში ისეთი, რომ მისი ჯოჯოხეთად ქცევა მოიწადინეს? და საერთოდ, რა მოხდა მათ თავს, რა ძალების ზემოქმედებით გაიჟღინთა მათი სულები ასეთი ბოროტებით, რა მანქანამ აამუშავა ამხელა ენერგია ქვეყნის საზიანოდ? ან რა მოიგეს, რა შეიძინეს თავისი ავკაცობით?

დღეს ამ გაპარტახებულ ქვეყანაში, სადაც ასეულ ათასობით ადამიანი ყოვლად უბადრუკი, უსასოო არსებობისთვისაა გაწირული, მაინც ყველაზე საბრალონი მოტყუებული გამარჯვებულნი არიან.

და არა მხოლოდ საბრალონი. გავა წლები და ამ კატეგორიის ადამიანები, რომელთა შორის დიდი წილი უკავიათ ახალგაზრდა ვაჟებს, სოციალური სინდრომის სტატუსს შეიძენენ. სინდრომისა, რომელსაც შეუძლია შთანთქას მთელი თაობები, მათი შვილებიც კი, და იქნებ კვლავ საშიშ, დამანგრეველ ძალად გარდაიქმნას.

ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ერთადერთი, რამაც შეიძლება იგი შეაფერხოს, ესაა ზნეობრივი ფასეულობების აღდგენა. მაგრამ მათაც და ჩვენც, ცხადია, უნდა გვესმოდეს, რომ დღევანდელ საქართველოში ამისთვის არავინ იზრუნებს: არც ხელისუფლება, არც მღვდელთმთავარი, არც წარჩინებული საზოგადოება, - თითოეული ჩვენგანის გარდა. მათ, ვინც საკუთარ შვილებს მკვლელებისა და ჯალათების კარიერა განუმზადეს, არ სჭირდებათ "მკაცრი და სუფთა" მსაჯულები.

ერთადერთი გამოსავალია ჭეშმარიტების აღიარებისა და მისი მსახურების გზით ერთმანეთის ძიება ამ ბნელით მოცულ ქვეყანაში, "ხელის ცეცებით", იქნებ ახალი შეცდომების ფასადაც კი. და კიდევ შეგნება იმისა, რომ დღევანდელ საქართველოს აღორძინებისა.

და ნიშანი ამისა უკვე იყო - საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ქართველი ხალხის ერთგულება სამშობლოს თავისუფლებისადმი.

კაცობრიობას ებრძვის სასტიკი ძალა. ვერ ამარცხებს, მაგრამ ახერხებს მის ცდუნებას, მის დარწმუნებას მარადიულ ფასეულობათა წარმავალობაში.

ღმერთი მოკვდა - უთხრეს და მათ დაიჯერეს.

თავისუფლება კეთილდღეობაშია - და ისინიც მიენდნენ რესპექტაბელურ წესწყობილებას.

პიროვნებას არაფრის შეცვლა არ ძალუძს - დაარწმუნეს და მათაც თავისი მეობა მორჩილად გადასცეს მათი უფლებების მარეგულირებელ სისტემას.

აი, ახალი წესრიგი - ახალი ზოოლოგიური ტიპის წარმოქმნის ხანა.

საქართველო, მისი პრეზიდენტი და ხალხი, თავისი უშუალო სიყვარულითა და თავდადებული ერთგულებით, ამ წესის ბუნებრივი უარყოფა იყო. ის პატარა, თითქოს უმნიშვნელო ჩხირი, რომელსაც ძალუძს მთელი მექანიზმის გაჩერება.

ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია შეცვალოს რეალობა; მაშასადამე მისი ნება, მისი რწმენა, სულიერი ენერგია შეიძლება ქმნიდეს რეალობას საერთო სისტემის მიღმა, მის გარეშე. და, რაც მთავარია, ადამიანში ჯერ კიდევ არ ჩაკლულა ამის სურვილი.

ეს კი უკვე რევანშია - თავისუფლების რევანში მონურ სისტემაზე. მაშასადამე თავისუფლება უნდა დაისაჯოს - მთელი სისასტიკით, საჯაროდ, სამაგალითოდ...

და საქართველოს თავისუფალი სული ჯვარს აცვეს.

და რაკი ჩვენ ღირსნი გავხდით ამის მოწმენი ვყოფილიყავით, გვენახა ეს ვნების მისტერია და საკუთარ თავზე განგვეცადა მაცხოვრის მავნებლობა, მოვალენი ვართ, პასუხისმგებელნი...

მონური წესრიგი ძალას იკრებს მხოლოდ ჩვენი უსუსურობით, ჩვენი ურწმუნოებით, ჩვენი მორჩილებით. გადასაწყვეტი, არსებითად, არც არაფერია, რამეთუ თავისუფლება ვერ გუობს მონობას და თუ ჩვენ თავისუფლები ვართ, თუ სამყარო, რომელიც შეგვიქმნეს, მიუღებელია ჩვენთვის, თუ გვაქვს რწმენა და ჭეშმარიტების სიყვარული, ჩვენ აუცილებლად ვძლევთ თავსმოხვეულ "წესრიგს".

*ანა ჭავჭავაძე*



# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა ქართველ ერს

ძვირფასო თანამემამულენო! როგორც ხედავთ, შავი დღე დაუდგა საქართველოს. იმპერიულმა ძალებმა და მისმა აგენტურამ საქართველოში თავს მოგვახვიეს საყოველთაო დესტაბილიზაცია. გრძელდება ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალადობით დამხობის ცდები.

მინდა გესაუბროთ, თუ რა მეთოდებით ცდილობს ე.წ. ოპოზიცია ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება, თუ რა დეზინფორმაციებს ავრცელებს ქალაქში და მთელ საქართველოში. მსურს ქართველმა ერმა შეიტყოს სიმართლე ყოველივე იმის შესახებ, რაც ხდება.

ამჟამად ჩვენ ვართ კვლავ პარლამენტის შენობაში, რომელსაც ესვრიან ჭურვებს, იგი მნიშვნელოვანწილად დააზიანეს, მაგრამ მთავრობის სასახლის, პარლამენტის შენობაში არის ჩვენი დიდი ძალები. ისინი ვერასგზით შეძლებენ მის აღებას, თუმც კი ამტკიცებენ, თითქოს პარლამენტის შენობის აღება შტურმით მოხდება.

ძირითად ქუჩებს და მაგისტრალებს ჩვენ ვაკონტროლებთ, თუმცა არის გარკვეული ქუჩები, სადაც ბანდიტები არიან დაბანაკებულნი. მათი შეიარაღებული ძალები განლაგებულია სასტუმრო "თბილისსა" და კავშირგაბმულობის შენობაში. იქიდან გვესვრიან ჩვენც და ხშირად მშვიდობიან მოსახლეობასაც არ ერიდებიან.

ტელევიზია, რადიოხაზი, კავშირგაბმულობა ბლოკირებულია. ე.წ. ოპოზიციამ პრაქტიკულად გამოიყვანა მწყობრიდან სატელეფონო კავშირები.

დეზინფორმაციაა, თითქოს მე დავთანხმდი მათ ულტიმატუმზე გადადგომის შესახებ. ის, რომ საქართველოში თითქოს აღარ არსებობს ხელისუფლება, ესეც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ჭორია.

მე მოვუწოდებ მთელს საქართველოს აღდგეს და ამოუდგეს მხარში თავის მიერ კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას, ალაგმოს მოღალატე ტერორისტთა ბანდა, რომელიც სჩადის ათასგვარ უმსგავსობას და რომლის მოქმედებაც განწირულია, ვინაიდან მთელი ქართველი ერი არის ჩვენთან.

მე მჯერა, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება; ორჯონიკიძეებისა და ბერბიჭაშვილების შთამომავლებს სამართლიან განაჩენს გამოუტანს ქართველი ერი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

*ზვიად გამსახურდია*

"საქართველოს რესპუბლიკა", ოთხშაბათი, 25 დეკემბერი, 1991 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!"...

ჩვენი მოგონებების მიღმა განსაკუთრებული ტრაგიკულობით უცხოვდება 1991 წლის დეკემბერ-იანვრის სისხლიანი დღეები, უცხოვდება და განუმეორებელ ადგილს იჭერს ერთი შეხედვით ჯოჯოხეთად ქცეულ მარადისობაში. დროთა მანძილზე კიდევ ბევრჯერ მოხდება ამ დღეთა შეფასება და გადაფასება, იმ დროს ნათქვამი სიტყვების გათამაშება და გადათამაშება, ხოლო ამ მოვლენათა ტრაგიკული არსი მარადიულად უცვლელი დარჩება.

გავა დრო, თვითმხილველნი ღიმილნარევი სევდით მოიგონებენ რუსთაველზე დაყრილ კანალიზაციის მილებს, მთავრობის სასახლესთან ლამპიონების შესაკეთებელ მანქანაზე შემდგარი "ოპოზიციონერების" თავგანწირულ სიმღერას "ძირს ზვიადი - მრგვალი მაგიდა", ეკლესიის სარკმლებიდან გამოყოფილ ქვემეხის ლულებს, დაცხრილულ კარვებს, ნერვებაშლილ სტუდენტებს, ტელევიზიისა და უნივერსიტეტის წინ წამოწოლილ "ელიტას", ჩასაშლელად მომზადებულ უზენაესი საბჭოს სესიებს აკაკი ასათიანის სტენოკარდიული შეტევის ფონზე, მთავრობის სასახლის სასადილოში გატარებულ ახალ წელს და საქართველოდან მიმავალი პრეზიდენტის ბოლო გამოხედვას, გაიხსენებენ უკეთესი მომავლის მოლოდინში იმედითა და რწმენით განმტკიცებულნი.

ის, რაც საქართველოში მოხდა, ქართველთაგან ვერ იქნა სახელდებული. ეს ბუნებრივიცაა. პოლიტიკური ტერმინოლოგიით, ამ მოვლენებს პუტჩი ჰქვია, რომელიც დამთავრდა საქართველოს ანექსიით და ოკუპაციით; სამხედრო თვალსაზრისით, ეს რუსეთის მიერ ინსპირირებული სამოქალაქო ომია; ისტორიული კონტექსტით, ეს "დიდგორის" გაგრძელებაა; სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, ეს კაენის ცოდვის პერეფრაზია. ქართველი ერისთვის კი მომხდარს სახელი არ გააჩნია - ისევე, როგორც არა აქვს სახელი იუდას ცოდვას, პილატეს გადაწყვეტილებას, მაცხოვრის გზას გოლგოთისკენ. ყოველივე ეს ერთად იკრიბება და მისტერიად იქცევა და მხოლოდ მერე ხდება მისი სახელდება ჯვარცმის მისტერიად, რომელსაც უეჭველად მოსდევს აღდგომა.

ყველა ტრაგიკულ მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში ადამიანთა მიერ ჩადენილი ცოდვა ედება საფუძვლად. საქართველოში დატრიალებული უბედურების მთავარი მიზეზი და გლობალური პათოსი ღალატია. ღალატი მორალის, ერის, სამშობლოსი, მოყვასის, ადამიანური პრინციპების, საკუთარი თავის. ქრისტიანულ ესქატოლოგიაში ვერსად ნახავთ, რომ უფალს ღალატის შენდობას სთხოვდნენ. ღალატი მიუტევებელი ცოდვაა, სულიწმიდის გმობაა, ხოლო მოღალატის ხვედრი - იუდას ხვედრია, ხის ტოტზე ჩამოკიდებულ ბაწარზე საზარელი სიკვდილი.

ღალატის ფენომენი სწორედ მაშინ იწყებს ამოქმედებას, როდესაც საზოგადოებაში ან საკუთრივ პიროვნებაში იწყება რწმენის შერყევა, ანუ ცნობიერების ხრწნა. სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის სხვადასხვა რამ ხდება ამის მიზეზი. ზოგისთვის "ინტელექტუალური საზრდო", ზოგისთვის ფული, ზოგისთვის არასრულფასოვნების კომპლექსი, მრავალთათვის კი, უბრალოდ, შური. ასე ერთიანდება საზოგადოების ეს ნაწილი, რომელსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, ერთი და იგივე ტრაგედია სჭირს - დაკარგული აქვს რწმენა.

ამ ნიშნის მიხედვით გაერთიანდა დეკემბერ-იანვრის მოვლენების მოლოდინში ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი და დაუპირისპირდა საკუთრივ ერის არაერთხელ გამოხატულ ნებას - თავისუფლების იდეისთვის თავგანწირულ ბრძოლას, მიზეზად კი გაშლილი კარვები, გაიაფებული პური, პრეზიდენტის "აქცენტიანი" ინგლისური მოიდო. პუტჩისტების "კომპეტენტური" შენიშვნები ხშირად ეხებოდა პრეზიდენტის ოჯახს, უზენაესი საბჭოს წევრების გარეგნობას და ჩაცმულობას, პრეზიდენტის პიროვნულ თვისებებს, ავისმომასწავებელ მომავალს, რომელსაც, თურმე, ეროვნული ხელისუფლება უმზადებდა ქართველ ერს.

ამ სასაცილო არგუმენტების გაუფერულებას დიდი დრო არ დასჭირვებია. ისინი სათამაშო რგოლიდან გაშვებული საპნის ბუშტებივით მალევე გაქრნენ ან ანეკდოტებად შემორჩნენ ჩვენს მეხსიერებას. უბრალოდ, იმ პერიოდში ეს გახლდათ საზოგადოების იმ ნაწილის იპოქონდრიული შეტევა, რომელსაც საკუთარი თანამდებობის, მანქანის, სკამის, კეთილდღეობის დაკარგვის შიში კვებავდა. ეს შიში მართლაც ყოვლისმომცველი იყო, რადგან თავის დროზე კომუნისტურმა ნომენკლატურამ თანამდებობებისა და პრივილეგიების მოსაპოვებლად დათმო მარადიული ღირებულებები - წესიერი კაცის სახელი, სიყვარული, მეგობრობა, მომავალი და ბოლოს სასუფევლის მოპოვების იმედი. ამიტომ, არ არის გასაკვირი მათი გაღიზიანება და აგრესია იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც თვით სოციალურ სიმაღლეებსაც კი მოწამებრივი გზით მიაღწიეს.

სწორედ საზოგადოებაში არსებული ამგვარი კომფორმისტული განწყობილების გაღრმავებით იმპერიამ მოახერხა შეექმნა მოჩვენებითი ძალა და ამ ძალას ამოფარებული, კიდევ უფრო მოხერხებულად ამოქმედდა. ასე დაიწყო საქართველოში დეკემბერ-იანვრის პუტჩი და დასრულდა იგი პუტჩისტების სრული მარცხით. იმიტომ, რომ ადამიანები, რომლებიც კამუფლაჟისთვის გამოიყენეს, უკეთეს შემთხვევაში, დაპატიმრებულნი, სიკვდილის მოლოდინში არიან; დიდი ნაწილი ზარ-ზეიმით მიაბარეს ქართულ მიწას. ყველაზე გაბრიყვებული და გამოუსადეგარი ნაწილი კი უცერემონიოდ ქუჩაში გაყარეს. პუტჩისტები დამარცხდნენ იმიტომ, რომ პუტჩის იდეოლოგები და მომწყობნი დღეს მხილებულნი არიან და ქართველი ერის ცნობიერებაში სამუდამოდ დასჯილნი, რადგან საქართველოში ქართველი საკუთარ შვილს არასდროს დაარქმევს ედუარდს, ხოლო ბიჭი, რომელსაც ზვიადს დაარქმევენ, უცხოეთშიც დაიბადება და ... ბოლოს კიდევ იმიტომ, რომ ურწმუნოების ალტერნატივად საქართველოში არსებობს დიადი რწმენა თუ ბავშვურად წმინდა იმედი, რომ საიდანღაც, ძალიან საიმედო შორეთიდან, ზვიადის კეთილი ფიქრი დასტრიალებს თავის საყვარელ სამშობლოს. იმასაც ამბობენ, ერთ დღესაც გული აღარ მოუთმენს და ეჩვენებაო თავის ხალხს, რომელიც მზადაა შემზარავი ღალატის სანაცვლოდ აჩუქოს თავის პრეზიდენტს ცრემლით, უსამართლობით, ტანჯვით დაფლეთილი, მაგრამ განუმეორებელი ერთგულებით აღსავსე ჭეშმარიტი საქართველოს უკვდავი სული.

*ქეთევან ქურდოვანიძე*

## საქართველოს ჰელსინკის კავშირის განცხადება

უკანასკნელ პერიოდში უკანონო ხელისუფლების რიგ მოღვაწეთა დაპატიმრება და ოფიციოზის პოლიტიკაში გამოკვეთილი ზოგიერთი ტენდენცია გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია 1991-92 წლების დეკემბერ - იანვრის მოვლენების გადაფასება ე.წ. პარლამენტის მიერ.

ჩვენთვის ნათელია, რომ ოფიციოზი შეეცდება საქართველოს ისტორიის ეს ტრაგიკული ეტაპი წარმოაჩინოს როგორც შიდა სამოქალაქო დაპირისპირება, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მომხდარი კონფლიქტის გარდუვალი შედეგი და არა როგორც რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ შემდგომი ანექსიის მიზნით.

აშკარაა, რომ მმართველი რეჟიმი, რომელიც თავისი არსით რუსეთის მარიონეტული სტრუქტურაა, შეეცდება მიჩქმალოს, ერთი მხრივ, დეკემბერ-იანვრის გადატრიალებაში რუსეთის როლი და ამ დანაშაულებრივი აქციის იმპერიული მიზანი; მეორე მხრივ, გაემიჯნოს მას და მთელი პასუხისმგებლობა მის უშუალო შემსრულებლებს დააკისროს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ჰელსინკის კავშირი აცხადებს, რომ ამჟამინდელ მმართველ ხელისუფლებას განიხილავს როგორც 1991-92 წლების გადატრიალების მომწყობი დანაშაულებრივი ხუნტის მემკვიდრეს და რუსეთის ინტერესების გამომხატველ მარიონეტულ რეჟიმს.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი მიიჩნევს, რომ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი თუკი ვინმესთან შეიძლება იქნეს პერსონიფიცირებული - მხოლოდ შევარდნაძის პიროვნებასთან და, სხვა დამნაშავეებთან ერთად, მას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული შეთქმულებისათვის.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი აცხადებს, რომ მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით კვლავაც იბრძოლებს რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისა და საქართველოში მისი მარიონეტული ხელისუფლების წინააღმდეგ.

დეკემბერის 11, 1995 წელი

# "ზაურ კობალიასთან ერთად, მეც მეკისრება პასუხისმგებლობა..."

განაცხადა საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრმა ზურაბ კვარაცხელიამ 11 დეკემბერს "კოლხურ კოშკში" კავშირის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე. იგი თვლის, რომ თუკი ზაურ ქობალიას ბრალი ედება როგორც დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს, მაშინ პასუხისმგებლობა მასაც ეკისრება, როგორც კომიტეტის წევრს. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს დაურიგდათ ზაურ ქობალიას განცხადება უზენაესი სასამართლოსადმი და თავად კავშირის მოთხოვნა - ზაურ ქობალია, როგორც სინდისის პატიმარი, დაუყოვნებლივ იქნეს განთავისუფლებული. აგრეთვე, გავრცელდა კავშირის განცხადება არჩევნების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ 5 ნოემბრის არჩევნები, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა.

კავშირმა განცხადებით მიმართა შსსსა და უშიშროების სამსახურს იმის თაობაზე, რომ ადგილი აქვს კავშირის წევრებზე ზემოქმედების მიზნით მათი შვილების მიმართ უკანონო ქმედებებს. განცხადებაში შეგნებულად არ არის მითითებული კონკრეტული ფაქტები, როგორც ჩანს, დაზარალებულთა დაცვის მიზნით, და ნათქვამია, რომ ამგვარი ფაქტების განმეორების შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ხსენებულ უწყებებს დაეკისრება.

# ძალაუფლება ყველაფერია...

თუ თვალს გადავავლებთ ბოლო ათწლეულში საბჭოთა და სოციალისტური ბანაკის სივრცეზე მომხდარ მოვლენებს, შევნიშნავთ ერთ საინტერესო ფაქტს. ესაა ამა თუ იმ ტერმინის, სახელწოდების მნიშვნელობით მანიპულირება. თითქოს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას, თუ რა სახელი ერქმევა ჩანაფიქრს, გეგმას. აღმოჩნდა, რომ აქვს, და როგორც ჩანს, საკმაოდ პრინციპულიც. ათწლიანი გადასახედიდან უფრო ნათლად გამოჩნდა, თუ რატომ დაერქვა "პერესტროიკა" იმას, რამაც მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე. ეს მდგომარეობა კი არის ყოფილი (და არა მარტო ყოფილი) კომუნისტური ნომენკლატურის საყოველთაო დაბრუნება ხელისუფლებაში.

თავდაპირველად, სსრკ-ს ფაქტობრივი, ხოლო 1991 წლის ბოლოსთ ის კი უკვე ფორმალური დაშლის შემდეგ, ბევრისთვის მოულოდნელიც იყო ახლად წარმოქმნილ "დამოუკიდებელ" სახელმწიფოთა სათავეში კვლავ ყოფილი კომუნისტების ხიოვა. იმ დროს ეს აღქმულ იქნა ამ რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების სისუსტედ, ვინაიდან მთელ რიგ რესპუბლიკებში ადგილი ჰქონდა ხელისუფლების თვისობრივ შეცვლას (საქართველო, ჩეჩნეთი, აზერბაიჯანი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები). საქართველოში მომხდარმა შეიარაღებულმა პუტჩმა ცხადყო, რომ "პერესტროიკა", რომელიც სახეცვლილებას გულისხმობს და არა ნგრევას, შელამაზებას და არა შეცვლას, სულაც არ იყო დასრულებული პროცესი. "პერესტროიკად" სახელდებულმა რევანშისტულმა ძალებმა, სადაც შეძლეს, ცივილიზებული მეთოდებით დაიბრუნეს ხელისუფლების სადავეები (ლიტვა, ბულგარეთი, უნგრეთი); სადაც წინააღმდეგობას წააწყდნენ, იქ თავისი აგრესიული და სისხლიანი ბუნება გამოამჟღავნეს (საქართველო, აზერბაიჯანი, რუმინეთი, ჩეჩნეთი, ტაჯიკეთი).

ის, რომ ბოლშევიკურ-კომუნისტური რევანში გეგმაზომიერი და სრულიად მიზანმიმართული პროცესია, კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა პოლონეთში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა, რომელშიც პოლონეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცოცხალმა სიმბოლომ, პრეზიდენტმა ვალენსამ წააგო საეჭვო წარსულისა და ბიოგრაფიის მქონე კომუნისტ კვასნევსკისთან. და ეს მოხდა ქვეყანაში, სადაც ტრადიციულად ძლიერი იყო ანტირუსული და ანტიკომუნისტური განწყობა ღრმა რელიგიურობის ფონზე. პოლონეთის არჩევნების შედეგები იმითიცაა საინტერესო და ნიშანდობლივი, რომ ამ ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური რეფორმები, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოლონური მეთოდი სამაგალითოდ ითვლებოდა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს სივრცეზე. პოლონეთი გეო-პოლიტიკურადაც ყოველთვის მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო ევროპასა და რუსეთს შორის. და მიუხედავად ყოველივე ამისა...

მაინც ვინ არიან ეს ძალები, რომლებიც ასე მიზანსწრაფულად მოქმედებენ და ყველანაირად ხაზს უსვამენ თავიანთ უძლეველობას?

ეს არაა რაიმე პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე დაჯგუფება. ესაა ერთგვარი კასტა იმ ჯაიდის ადამიანებისა, რომელთა ბუნებას წარმოადგენს დაუოკებელი სწრაფვა ძალაუფლებისკენ. იმ ძალაუფლებისკენ, რომლის გარეშე მათი ყოველგვარ შემოქმედებით ნიჭსა და სულიერებას მოკლებული ინდივიდუალობა არარაობას წარმოადგენს. მათი მიზანი იწყება და მთავრდება ძალაუფლების მოპოვებით. დროისა და ვითარების მიხედვით, მათ ხან მარქსისტები ჰქვიათ და ხან სოციალ-დემოკრატები; ხან ბოლშევიკები და ხან კომუნისტები; ხან სოციალისტები და ხანაც დემოკრატები.

საინტერესოა ცნობილი ისტორიკოსის აბდურაჰმან ავტორხანოვის აზრი მათ შესახებ: "ბოლშევიზმი იდეოლოგია არ არის, ეს არის ორგანიზაცია. იდეოლოგიად მას მარქსიზმი ემსახურება, ამ ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, მუდამ რევიზიას დაქვემდებარებული. ბოლშევიზმი არც პოლიტიკური პარტიაა ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არც "მოძრაობა", დაფუძნებული სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა სიჭრელეზე, ამორფული ორგანიზაციული პრინციპებით, მასების ემოციური მერყეობით და იმპროვიზებული ხელმძღვანელობით. ბოლშევიზმი არის იერარქიული ორგანიზაცია, ზემოდან ქვემოთ შექმნილი, დაფუძნებული ზუსტად შემუშავებულ თეორიაზე და პრაქტიკაში მის მარჯვედ გამოყენებაზე. ბოლშევიზმის ორგანიზებული ფორმები მუდმივ მოძრაობაში იმყოფება გარემოებებისა და დროის შესაბამისად, მაგრამ შინაგანი სტრუქტურული სისტემა უცვლელი რჩება. იგი დღე ისევე კონსპირაციულია, როგორიც იყო ცარისტულ იატაკქვეშეთში, ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამდე" (Abdurakhman Avtorkhanov, The Communist Party Apparattus, Chicago, 1966).

ამ ადამიანების სულიერი (და ხშირად ხორციელიც კი) შთამომავლები დაბრუნდნენ ხელისუფლებაში აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში.

ამ ერთი შეხედვით საყოველთაო მოვლენაში, საბედნიეროდ, არის გამონაკლისი ქვეყნები, სადაც ბოლშევიკ-კომუნისტებმა ვერ მოახერხეს დაკარგული პოზიციების დაბრუნება. ასეთი ქვეყნების მაგალითად შეიძლება გამოდგეს გერმანია, ჩეხოსლოვაკია და ლატვია. მაინც რით განსხვავდებიან ეს ქვეყნები დანარჩენებისგან? ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ამ ქვეყნებში არ მოხდა თვალის დახუჭვა იმ დანაშაულობებზე, რომელიც ჩაიდინეს კომუნისტებმა თავიანთი მმართველობის პერიოდში. ეს არის არა ანგარიშსწორება, არამედ პასუხის მოთხოვნა დანაშაულისთვის. სიბერისგან მიხრწნილი ჰონეკერი ოკეანის გაღმა არგენტინიდან ჩამოიყვანეს და სასამართლოს სკამზე მიუსვეს თავის ყოფილ, ასევე სიბერეშეპყრულ დამქაშებს. ყოფილ პარტიულ ნომენკლატურას, საიდუმლო სამსახურის -"შტაზის" წევრებსა და აგენტებს კი, უკეთეს შემთხვევაში, აეკრძალათ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი თანამდებობების დაკავება. ჩეხოსლოვაკიის "რეპრესირებული" კომუნისტური ლიდერი დუბჩეკიც კი, რომლისთვისაც თავის დროზე გამოიგონეს აბსურდული ცნება "კომუნიზმი ადამიანური სახით", ვერ გადაურჩა ერის ღალატში მხილებას და მისი მოღვაწეობის საკადრის შეფასებას (სხვათა შორის, სიკვდილის შემდეგ). მოხდა კომუნისტების სამსახურში მყოფი კოლაბორაციონისტური და ავანტიურული ძალების პიროვნული მხილება. ლატვიის კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი რუბიკსიც ასევე განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდა.

რაღა თქმა უნდა, გერმანიაშიც, ჩეხოსლოვაკიაშიც და ლატვიაშიც ასამართლებდნენ არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ თავიანთ გუშინდელ დღეს. იმ ქვეყნებში კი, სადაც ეს არ მოხდა, სადაც ყველას ყველაფერი ეპატია, სადაც ავაზაკებს შერჩათ ავკაცობა, ამ ძალებმა მოახდინეს გადაჯგუფება, აამოქმედეს თავისი მძლავრი ფინანსურ-ორგანიზაციული რესურსები და, უკვე ახლებურად გადაწყობილებმა, პრეტენზიებიც განაცხადეს პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. ე.წ პარტიულმა ფულმა, რომელიც ათწლეულების მანძილზე იქმნებოდა და გროვდებოდა, თავისი საქმე გააკეთა.

ამ მაფიოზურ ძალთა უვნებელყოფა მხოლოდ იქ მოხდა, სადაც ისინი პრინციპულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. თუ ჩვენ გავიხსენებთ პუტჩის წინა პერიოდის საქართველოს, დავინახავთ, რომ ჩვენთანაც იგივე პროცესი მზადდებოდა, რაც საქართველოს კომპარტიიის გაუქმებით დაიწყო. ამიტომაც, იგრძნეს რა მოახლოებული საფრთხე, გულის სიღრმიდან აღმოხდათ ნომენკლატურის რუპორ ბატონებს და ქალბატონებს კონიუნქტურული ლოზუნგი: "ჯერ დემოკრატია, და მერე თავისუფლება." ავაზაკების თავშესაფრად ქცეულმა დემოკრატიამ თავისი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინა საქართველოში და, როგორც ჩანს, დიდი ხნით მიეცა დავიწყებას.

მაშ ასე, ძველები დაბრუნდნენ მათთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანთვისებით: მილიტარიზმით, ცივი ომით, ტოტალიტარული რეჟიმით, პოლიტიკური პროცესებით, ხალხის მტრების გაუთავებელი ძიებით.

დასავლეთი, რომელმაც ერთ დროს შვებით ამოისუნთქა, ახლა ისევ შეშფოთებულია. 1991 წლის დეკემბერ-იანვარში საქართველოში დაწყებული პროცესი სახიფათო ტენდენციად იქცა, რომელიც სერიოზულ მუქარად შემოუტრიალდება მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებას.

მაგრამ როგორი მძიმეც არ უნდა იყოს რეალობა, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით, არსებობს ერთი გარდუვალი კანონზომიერება - ტოტალიტარიზმი, რომელიც, თავისი არსიდან გამომდინარე, ვერ ეგუება ოპოზიციას, თავადვე გამორიცხავს სტაბილურობას და სიმშვიდეს. იგი ოპოზიციის დათრგუნვის მომენტიდან იწყებს კვდომას და ერთი შეხედვით ძლევამოსილი, შიგნიდანაა უკვე დამპალი. ყველაფერი ახლა იწყება. წინ საინტერესო და ხიფათიანი ამბები ელის საქართველოს.

ხიფათიანი და საშიში დრო მოდის ევროპაშიც, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, მათ ეს არჩევანი თავადვე გააკეთეს.

*თ. რეხვიაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ადვოკატებს ჩამოერთვათ უფლება განახორციელონ დაცვა"

...თვლის ადვოკატი ქეთევან ბექაური, რომელიც კომენტარს უკეთებს 1995 წლის 5 აპრილის დადგენილებას "საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში შესწორებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

**კორესპონდენტი: - როგორ შეფასებას აძლევთ ამ დადგენილებას. მის თანახმად, იზრდება თუ იზღუდება ადვოკატთა უფლებები, ეფუძნება თუ არა იგი დემოკრატიულ პრინციპებს და რამდენად დაეხმარება სასამართლო ხელისუფლებას ჭეშმარიტების**

არის კიდევ ერთი მუხლი, რომლის თანახმად, ადვოკატს ერთმევა ადრე არსებული უფლება ერთ საქმეში დაიცვას ორი პირი, თუნდაც მათ ჩვენებებში არ იყოს წინააღმდეგობა. ამ მუხლის მიღების არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამდენად, დემოკრატიულობასა და ადვოკატის უფლებების გაზრდაზე ამ კანონთან მიმართებაში ლაპარაკიც ზედმეტია.

**კორ. - უკანასკნელი წლების პოლიტიკურმა პროცესებმა დაგვარწმუნა, რომ ირღვევა არა მხოლოდ ბრალდებულის უფლებები წინასწარი ძიების დროს, არამედ განსასჯელისაც სასა-**

ავდნენ, რომ პლენუმის დადგენილება კანონქვემდებარე აქტია და უზენაესობა კანონს ენიჭება. ახლა უკვე ამ დებულებას კანონის ძალა მიენიჭა 5 აპრილის დადგენილებით, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ და მას ხელს აწერს სახელმწიფოს მეთაური.

**კორ. - შეიცავს თუ არა დადგენილება რაიმე დეფინიციას, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმის ხელოვნურად გაჭიანურებად?**

ქ. ბ. - არა, ამგვარი განსაზღვრება დადგენილებაში არ არის.

**კორ. - ამ შემთხვევაში, ხომ არ**

**დადგენაში?**

ქეთევან ბექაური: - პარლამენტის ეს დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს, დემოკრატიული პრინციპებისა და იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ აღიარებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების პრიმატი საქართველოს კანონმდებლობაზე, ფაქტობრივად, გვართმევს ადვოკატებს უფლებას ობიექტურად და რეალურად განვახორციელოთ დაცვის უფლება. ამ კანონით კიდევ ერთხელ შეიზღუდა ჩვენი უფლება დავიცვათ ბრალდებული, ეჭვმიტანილი თუ განსასჯელი ნებისმიერ სტადიაზე - იქნება ეს წინასწარი ძიება, თუ სასამართლო-სამსჯავრო გამოძიება.

ამ დადგენილების მე-3-ე მუხლის მე-5-ე აბზაცში პირდაპირაა დაკონკრეტებული, თუ რას უნდა გაეცნოს ადვოკატი წინასწარი ძიების სტადიაზე. ფაქტობრივად, ადვოკატი მოკლებულია შესაძლებლობას სრულად გაეცნოს საქმის მასალებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამ დადგენილებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, გამომძიებელი წარმოგიდგენთ მხოლოდ უშუალოდ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკითხვის ოქმებს და არ გეცოდინებათ რა ჩვენებას აძლევა მეორე, ან მესამე ეჭვმიტანილად ცნობილი პირი. ამდენად, ადვოკატი ხელფეხშეკრულია და მოკლებულია შესაძლებლობას რეალურად განახორციელოს დაცვა, რამდენადაც არ იცის, თუ რას ამბობს მისი დაცვის ქვეშ მყოფზე სხვა დაკავებული ან ეჭვმიტანილი პირი.

**მართლო განხილვის სტადიაზე. ამ მხრივ რა პოზიტიურ ცვლილებებს შეიცავს ეს დადგენილება?**

ქ. ბ. - თავად განსაჯეთ, დადგენილების ამავე მუხლში პირდაპირაა ნათქვამი, რომ "დამცველს არა აქვს უფლება ხელოვნურად გააჭიანუროს პროცესი". ეს უკვე აძლევს მოსამართლეს უფლებას არ მიიღოს განსასჯელის ან ადვოკატის მიერ კანონის შესაბამისად დაყენებული შუამდგომლობა იმ მოტივით, თითქოს მათ სურთ საქმის გაჭიანურება. ეს უკვე ნიშნავს, რომ მოსამართლე შეუზღუდავია ნებისმიერ მომენტში გამოიყენოს ეს მუხლი და ალუკვეთოს დამცველს რეალური დაცვის განხორციელების უფლება.

მე მქონდა ასეთი შემთხვევა, როდესაც ე. წ. ჩიქოვანის ქუჩის საქმეზე ვიცავდი განსასჯელ ზურაბ ბარძიმაშვილს. მას ალენიშნებოდა 50-მდე მძიმე დაავადება და წინასწარი ძიების დროს არ ჰქონდა ჩატარებული არც სასამართლო-სამედიცინო, არც ფსიქიატრიული ექსპერტიზა. როდესაც მე დავაყენე შუამდგომლობა ექსპერტიზების ჩატარების თაობაზე, ბრალმდებელი წინააღმდეგ წავიდა სწორედ იმ მოტივით, რომ ეს გამოიწვევდა საქმის გაჭიანურებას.

**კორ. - ამ დროს უკვე არსებობდა საკითხის ამგვარად დასმის კანონიერი საფუძველი?**

ქ. ბ. - კანონის თანახმად - არა, მაგრამ ბრალდება ეყრდნობოდა უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებას, რომელშიც იყო ამგვარი დებულება. ადვოკატები თავის პოზიციას იმით იც-

**არის საშიშროება, რომ ადვოკატის ნებისმიერი მცდელობა, სრულყოფილად იქნეს გამოძიებული საქმე, შეფასდეს პროცესის გაჭიანურებად?**

ქ. ბ. - მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ასეც მოხდეს და ამ შემთხვევაში, ბრალდებული - ძიების პროცესში, და განსასჯელი - სასამართლო განხილვის დროს, ფაქტობრივად, დაცვის გარეშე აღმოჩნდება. ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის და ვერაფერს საიმედოს ეს კანონი ვერ გვ[illegible]დება.

**კორ. - საინტერეს[illegible] ეს მხოლოდ თქვენი მოსაზრებაა, თუ მას იზიარებენ ადვოკატთა წრეებში?**

ქ. ბ. - კანონის მიღების შემდეგ ჩემს კოლეგებს შორის გაიმართა ფართო დისკუსია და მსჯელობა ამ საკითხებზე. მეტიც, ჩვენ ვმუშაობთ, რათა დავსვათ საკითხი მისი შეცვლის თაობაზე. თუმცა, რამდენად რეალურია ამის მიღწევა, ძნელი სათქმელია. მაგრამ აზრი იმის თაობაზე, რომ კანონი უნდა გადაისინჯოს, დღის წესრიგში დგას. ჩემის აზრით, საჭიროა გაგრძელდეს ამ საკითხზე ფართო მსჯელობა.

**კორ. - მოგეხსენებათ, ჩვენი გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამართლებრივ და უფლებრივ პრობლემებს და, ჩვენის მხრივ, მზად ვართ გაგიწიოთ თანადგომა. გმადლობთ საინტერესო კომენტარისთვის.**

ქ. ბ. - თქვენც ასევე მადლობას მოგახსენებთ.

# ვინ იქნება ლოთი ქობალიას ადვოკატი

დასრულდა ვახტანგ (ლოთი) ქობალიას საქმის წინასწარი გამოძიება და საქმე გადაეცა უზენაეს სასამართლოს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მას განიხილავს სასამართლო კოლეგია მოსამართლე ალადაშვილის თავმჯდომარეობით. სასამართლო-სამსჯავრო გამოძიება მოსალოდნელია დაიწყოს იანვრის პირ-

კონკრეტულობას, ყოველთვის დავის საგანი ხდება.

მიუხედავად ამისა, იურისტები მიიჩნევენ, რომ სადავო არაფერია, რამეთუ არსებობს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის №14 დადგენილება უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ეჭვმიტანილის, ბრალდებუ-

## კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ადვოკატისა და განსასჯელის უფლებებს, უკვე გამოყენებაშია

ველ რიცხვებში. მანამდე კი კოლეგიამ მოასწრო და უკვე უარყო განსასჯელის მიერ აყვანილი ადვოკატის - მერაბ ნავროზაშვილის კანდიდატურა.

სასამართლო კოლეგია თავის გადაწყვეტილებას ამართლებს 1995 წლის 5 აპრილს მიღებული კანონით, კერძოდ, სს საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით: "ერთი და იგივე პირი (ადვოკატი) არ შეიძლება იყოს ორი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დამცველი". რაკი მ. ნავროზაშვილი წინასწარ ძიებაში იცავდა იმავე საქმეში ბრალდებულ ნუგზარ მოლოდინაშვილს, მათი აზრით , მას არა აქვს უფლება განახორციელოს ვ. ქობალიას დაცვა.

კომპეტენტურ იურისტთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული დადგენილება მართლაც შეიცავს ამკრძალავ დებულებას, მასში არ არის მითითებული, რომ ადვოკატს, რომელიც იცავდა საქმეში მონაწილე ერთ პირს მხოლოდ წინასწარი ძიების ეტაპზე და შემდგომ გაწყვიტა მასთან ხელშეკრულება, ეკრძალება განახორციელოს ამავე საქმის მონაწილე მეორე პირის დაცვა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. ხოლო კანონი, რომელიც მოკლებულია

ლის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ, რომელშიც ნათქვამია:

"ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით და მოქმედი კანონმდებლობით უკვე აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების წინაშე, ხოლო მათი პირდაპირი მოქმედება რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ძირითად ფუძემდებლურ პრინციპად ცხადდება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი ერთგული რჩება მის მიერ ადრე აღიარებული კურსისა, რომ პრაქტიკაში ფართოდ იქნას გამოყენებული და ცხოვრებაში გატარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით განმტკიცებული მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები (საწყისები)".

ამდენად, 1995 წლის 5 აპრილის კანონი ეწინააღმდეგება არა მხოლოდ პლენუმის დადგენილებას, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ახალ კონსტიტუციას.

# ლევან მამალაძეს გადაკეტილი გზები არ უნახავს

11 დეკემბერს პოლიტპატიმარ ზაურ ქობალიას სასამართლო პროცესზე დაიკითხა ორი მოწმე. პირველი მათგანი - ალექსანდრე გამისონია, 1993 წელს ზუგდიდის პოლიციის რიგითი თანამშრომელი ყოფილა. წინასწარ გამოძიებაში მიცემული მისი ჩვენება, როგორც აღმოჩნდა, სრულიად არ ეხებოდა განსასჯელ ზაურ ქობალიას საქმეს. ჩანს, მოწმე გამისონიას ჩვენება, მიცემული ვახტან ქობალიას საქმესთან დაკავშირებით, მექანიკურად გადმოუტანიათ ზაურ ქობალიას საქმეში, რის გამოც თვით მოსამართლე ლ. საყვარელიძემაც ვერ დამალა გაკვირვება.

მოწმე გამისონია აღმოჩნდა ზ. ქობალიას ახლო ნათესავი - დედის ბიძაშვილი. მისი თქმით, აღნიშნულ პერიოდში განსასჯელთან რაიმე შეხება არ ჰქონია, ხვდებოდა მხოლოდ ქორწილებსა და დაკრძალვებზე. პროკურორის კითხვებზე - მუშაობდა თუ არა იგი ზუგდიდის პოლიციაში გია გულუას დაკავების პერიოდში, მიდიოდნენ თუ არა გულუას დასაკითხად ზაურ ქობალია, კოტე ფირცხალავა და სხვები, - მოწმემ უპასუხა, რომ იგი მორიგეობდა ოთხ დღეში ერთხელ და დასახელებული პირები იქ არ უნახავს.

იმავე დღეს მოწმედ დაიკითხა ქვემო ქართლის რეგიონის რწმუნებული, ლევან მამალაძე. მან თქვა: "1993 წელს, როდესაც გზები იყო გადაკეტილი ფოთიდან თბილისისკენ, პარლამენტში დაისვა საკითხი და შეიქმნა კომისია, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ვაჟა ადამია. დეპუტატები ეწერებოდნენ და მეც ჩავეწერე. სენაკში რომ ჩავედით, აეროპორტში დაგვხვდა ელიავა, ერთი სენაკელი დეპუტატი და არგანია. წავედით გამგეობაში, ველოდებოდით ლოთი ქობალიას. ის ჩამოვიდა ლაკიასთან ერთად. ვისაუბრეთ. შემდეგ წავედით აბაშაში, დავბრუნდით სენაკში და მერე წავედით ზუგდიდში, გვარდიის შტაბში, სადაც ველოდებოდით ზაურ ქობალიას, რადგან გვითხრეს - ის ყველაფერს აგიხსნითო. მოვიდა ბატონი ზაური. გვქონდა კეთილგანწყობილი საუბარი. წავედით გამგეობაში, შევედით ოთახში, რომლის გვერდით კაბინეტს ეწერა - "პრემიერ-მინისტრი". ხალხის მხრიდან იგრძნობოდა ჩვენს მიმართ დაძაბულობა. შემდეგ მოვიდნენ ლოთი, ზაურ ქობალია, ჩხეიძე, მოლოდინაშვილი, ბარათაშვილი, გელანტია. დავსხედით პირისპირ და გვქონდა საკმაოდ დაძაბული საუბარი, რომელიც შეეხებოდა პარლამენტის ლეგიტიმურობის საკითხს. პრეტენზიები განსაკუთრებით ჩემს მიმართ ჰქონდათ, რადგან ჯგუფში ძირითადად ოპოზიციური პარტიები იყო წარმოდგენილი.

ჩვენ გვაინტერესებდა გზების საკითხი. ლოთი ამბობდა - მე სამხედრო ვარ და რასაც დამავალებენ, იმას გავაკეთებო. ზაურ ქობალიამ, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა, თქვა, რომ სამთავრობო ჯარი ლიხს იქით გასულიყო და ეს გაცხადებულიყო. ისინი ამბობდნენ - ჩვენ მაშინ სამტრედიაში არ შევალთო. მე ვთქვი, ლოთის ნაწილი სამტრედიასთან დგას და მთავრობა ამაზე არ დათანხმდება-თქო. ამ შეხვედრას შედეგი არ მოჰყოლია."

ზაურ ქობალიამ მოწმეს დაუსვა კითხვა: "- იყო თუ არა საუბარი ამ შეხვედრის დროს სამშვიდობო თემაზე, იმაზე, რომ არ ყოფილიყო შეიარაღებული დაპირისპირება". "- დიახ, იყო. ითქვა, არ გვინდა სისხლის ღვრაო." "- თქვენი მიზანი იყო გზების ნახვა. მერედა ნახეთ, რომ გადაკეტილი იყო გზები?" - იკითხა განსასჯელმა, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ გზები არ უნახავს, რადგანაც ფოთისკენ არ წაიყვანეს, ხოლო სხვაგან გადაკეტილი გზები არ შეხვედრიათ.

მოსამართლემ ჰკითხა მოწმეს, მართლა ისაუბრეს თუ არა ჩაკეტილ კარს მიღმა ვაჟა ადამიამ და ლოთი ქობალიამ, რაც მამალაძემ დაადასტურა და დაუმატა, რომ ეს მოხდა ორჯერ - სენაკში და ზუგდიდში.

ამის შემდეგ გაიმართა მეტად საგულისხმო დიალოგი:

**მოსამართლე:** - ე.ი. ლოთი ქობალიამ თქვა, კომიტეტის გარეშე არ ვიღებ გადაწყვეტილებასო?

**მოწმე:** - დიახ.

**ადვოკატი თ. გოქსაძე:** - ეს რა პერიოდია?

**მოწმე:** - აგვისტოს ბოლო.

**ადვოკატი:** - ე. ი. პრემიერ-მინისტრი ჩამოსული იყო. ეს თქვენ ნახეთ? მაგ პერიოდში დაუმორჩილებლობის კომიტეტს მოხსნილი ჰქონდა უფლებამოსილება, თქვენ შეხვედრიხართ პრეზიდიუმის შემადგენლობას, რომლის წევრი ბატონი ზაურიც იყო?

**მოწმე:** - ამას რა მნიშვნელობა აქვს, ლოთიმ თქვა, ზაურ ქობალიას უნდა დაველოდოთო. ჩვენთვის სულ ერთია, პრეზიდიუმი, კომიტეტი, თუ სხვა რამ ერქმეოდა იმ ჯგუფს.

**ადვოკატი:** - დიახ, თქვენთვის, მაგრამ საქმისთვის აქვს ამას მნიშვნელობა.

ამდენად, სხდომის ბოლოს მოწმის ტენდენციურობამ, რასაც მოსამართლემაც მისცა ბიძგი, დარბაზში დაძაბულობა გამოიწვია. მაგრამ მოსამართლემ შეახსენა დამსწრეთ, რომ ბატონ რწმუნებულს თან ახლავს დაცვა და უფრთხილდნენ მას.

შემდგომ დღეებში სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო.

*ს. გურამიშვილი*

# დააპატიმრეს კონსტანტინე ფირცხალავა

როგორც არაოფიციალური წყაროებიდან გახდა ცნობილი, მოსკოვში დააპატიმრეს დევნილი უზენაესი საბჭოს წევრი კონსტანტინე ფირცხალავა. დაპატიმრების გარემოებები უცნობია. რაც შეეხება მოტივს, საფიქრალია, რომ მას წაუყენებენ იგივე ბრალდებას, რაც "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" სხვა მონაწილეებს, რომელთა მიმართ ამჟამად მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. ამას ადასტურებს ისიც, რომ ზაურ ქობალიას საქმის ამჟამად მიმდინარე სასამართლო პროცესზე ხშირად ფიგურირებს კონსტანტინე ფირცხალავას სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაფერი ისევ კომუნისტებს ჩაუვარდათ ხელში

რადიო "თავისუფლება", 14 დეკემბერი

**ნიკოლოზ კილასონიას, 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს წევრს, ესაუბრება რადიოსადგურის თბილისელი კორესპონდენტი გიორგი კაკაბაძე**

**კორესპონდენტი: - საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი?**

ნიკოლოზ კილასონია: - უაღრესად უარყოფითი და მე შემიძლია ავხსნა, თუ რატომ. აქ არის ორი ასპექტი: თუ როგორ გამოადგება "დე ფაქტოდ" არსებული მთავრობა საქართველოს სახელმწიფოს, და მეორე - თუ რამდენად კანონიერია იგი. რა თქმა უნდა, დასავლეთში ბევრი თვლის, რომ პირველი საკითხი უფრო მნიშვნელოვანია და, ალბათ, ეს მართალიც არის. თუკი ის ქვეყანას გამოადგება, მისი კანონიერების საკითხი, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება გვერდზე გადავდოთ და დავივიწყოთ.

კანონიერების თვალსაზრისით მოგახსენებთ, რომ კანონიერი შეიძლება იყოს ის სტრუქტურა, რომლის არჩევნებიც იქნა დანიშნული კანონიერი სტრუქტურის მიერ და არა ხუნტის მიერ; რომელმაც აწარმოა თავისუფალი წინასაარჩევნო კამპანია, რომელმაც ჩაატარა თავისუფალი, კანონიერი არჩევნები და ბოლოს, თავისუფლად, გაუყალბებლად შეაჯამა არჩევნების შედეგები. არც ერთი ეს პუნქტი დაცული არ არის. ფაქტობრივად, ეს პარლამენტი არის სამართალმემკვიდრე 1992 წელს იარაღის ძალით მოსული ხელისუფლებისა. აი, ამ ხელისუფლებამ - სამხედრო საბჭომ, როგორც ვიცით, დააფუძნა სახელმწიფო საბჭო იგივე შემადგენლობით, რაც იყო სამხედრო საბჭო, მას მხოლოდ დაემატა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. ამის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ, იგივე ხუნტამ, დანიშნა 1992 წლის არჩევნები, "გაიმარჯვა" ამ არჩევნებში, შემდეგ უკვე სახელმწიფო საბჭოს ამ სამართალმემკვიდრემ, 1992 წელს არჩეულმა პარლამენტმა, დანიშნა ეს არჩევნები. ამდენად, დღევანდელი პარლამენტიც არის სამართალმემკვიდრე 1992 წელს იარაღის ძალით ხელისუფლებაში მოსული ხუნტისა.

ამას არ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ არ იყოს მეორე ფაქტობრივი მიზეზი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ქვეყანა არ იქნება ბედნიერი ამ ახალი ხელისუფლების ხელში. დღევანდელი პარლამენტი ნამდვილად ვერ გამოხატავს საქართველოს მთელი მოსახლეობის განწყობას.

**კორ. - რატომ მიგაჩნიათ ასე?**

ნ. კ. - მიუხედავად იმისა, რომ იყო უამრავი გაყალბება, - აი, მე აქ მიდევს ინგლისის ჰელსინკის ჯგუფის დასკვნა. შემიძლია წაგიკითხოთ მისი დასკვნითი ნაწილი, - მიუხედავად ყოვლად უსამართლო წინასაარჩევნო კამპანიისა, როდესაც საეთერო დრო, "მას მედია" იყო ღრმად მონოპოლიზებული დღევანდელი ხელისუფლების ხელში და ბევრად დიდი უპირატესობა გააჩნდა შევარდნაძეს თავისი სტრუქტურებითურთ; მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არჩევნები ჩატარდა ტერორის პირობებში, გაყალბებული იქნა შედეგები... მარტივად გეტყვით: ნუთუ ვინმემ შეიძლება გაიფიქროს, რომ ზუგდიდის მოსახლეობის 70 პროცენტმა შევარდნაძეს მისცა ხმა?! ესაა უკვე გამომჟღავნება მთელი ამ სიყალბისა.

**კორ. - გამსახურდიას მმართველობისას პარლამენტში თქვენ ხელმძღვანელობდით საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ქვეკომისიას. დღეს ჩვენთან უმძიმესი ეკონომიკური კრიზისია. ამის უმთავრეს მიზეზად აქამდე მწვავე კრიმინოგენურ ვითარებას ასახელებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალური ფონი დღეს საქართველოში დამაკმაყოფილებელია, მაგრამ წარმოება არ ამუშავებულა. როგორ ფიქრობთ, როდემდე ვიქნებით კრიზისულ მდგომარეობაში?**

ნ. კ. - უპირველეს ყოვლისა, კრიმინალური ფონი დღეს საქართველოში ნამდვილად არ არის დამაკმაყოფილებელი. ლაპარაკობენ იმაზე, რომ მოხდა "მხედრიონის", ან რაღაცა სხვა სტრუქტურების განიარაღება. სინამდვილეში, დღეს საქმე გვაქვს ჩვეულებრივი კომუნისტური მეთოდებით მაფიის მონოპოლიზაციასთან და არა მის განეიტრალებასთან. უბრალოდ, დაუმორჩილებელი მაფიოზური სტრუქტურების ფუნქციები გადაეცა მთავრობისადმი სრულიად ლოიალურ, ასევე მაფიოზურ სტრუქტურებს. ისევ გრძელდება ძარცვა-გლეჯა, შეუძლებელია რაიმეს წარმოება; თუ აღარ ისვრიან ღამით, სამაგიეროდ, ისვრიან დღისით და დაუფარავად. არც ერთ მეწარმეს ჯერ არც კი უფიქრია ჩამოსვლა მოსკოვიდან, ან საზღვარგარეთიდან და აქ წარმოების განახლება. თუ ადრე რეკეტს აწარმოებდა "მხედრიონი" + უშიშროება + კიტოვანი და ა.შ., ჯამში 90 პროცენტი, ახლა ჯამი ისევ იგივეა, მაგრამ ყველაფერ ამას აკეთებენ ერთი კაცის მიმართ ლოიალურად განწყობილი მაფიოზური სტრუქტურები.

დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ილუზია შეიქმნა. მე რამდენიმე მომენტს გამოვყოფდი: პირველია - დაბალი, ვითომდაც გაყინული ინფლაცია; მეორე მომენტია - ვითომდაც მიმდინარე პრივატიზაცია; მესამე - ვითომდაც დაძრული გეოპოლიტიკური ფაქტორი, ანუ ის ვეებერთელა გეოპოლიტიკური უპირატესობა, რომელიც საქართველოს გააჩნია და რომელიც ვითომდაც ნელ-ნელა შედის თავის ფუნქციაში.

ეს ყველაფერი - ილუზია და ტყუილია. როგორც ვიცით, დღეს საქართველოში არ არის მაღალი ინფლაცია. ინფლაციას იწვევს უსაქონლო ფულის მასის უკონტროლო ზრდა, ანუ უკონტროლო ემისი, როდესაც იბეჭდება და იბეჭდება ფული. ყველა მთავრობამ იცის ეს ფარაონის დროიდან მოყოლებული, მაგრამ ყველა მთავრობა მიდის ამაზე იმიტომ, რომ ხალხს რაღაც ხელფასი მაინც გადაუხადოს და მოსახლეობა შიმშილით არ დაეხოცოს.

დღეს თუ საქართველოში მიღწეულია სავალუტო ინფლაციის გაყინვა, ამის მიზეზი ისაა, რომ სახელმწიფომ სრულიად აიღო ხელი ხალხზე. ამასთან, ხაზი უნდა გავუსვა, რომ ფასების ინფლაციის გაყინვა არ მოხდა. განა შეიძლება ქვეყანაში, სადაც უკვე საერთაშორისო ფასებია, ადამიანს საშუალო ხელფასი ჰქონდეს ორი დოლარი?! ეს ხომ მოსახლეობის გაწირვაა საშიმშილოდ. ამასთან, დღეს დოლარით ველარ იყიდით იმას, რასაც ყიდულობდით შარშან.

დღეს საქართველოს ეკონომიკის პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან სხვადასხვა მიზეზებისა და პოლიტიკის გამო, ჩვენი ეკონომიკა ძალზე მჭიდროდაა გადაბმული რუსეთის ეკონომიკაზე. დღეს საქართველოში ერთგვარი დაგვიანებით ასლად გადმოდის ყოველივე ის, რაც ხდება რუსეთში. ეს წამხედურობაც კი არ არის, უბრალოდ, ზიარი ჭურჭლის პრინციპია.

იგივე ეხება პრივატიზაციას. იგი არ მიმდინარეობს არც რუსეთში, არც საქართველოში. ჩვენთან ვაუჩერის ნომინალურმა ფასმა ათჯერ დაიკლო: რატომ ხდება ეს - ეგება ვაუჩერები არავის ესაჭიროება? ამას რამდენიმე ახსნა შეიძლება ჰქონდეს: პირველი - თუკი მიმდინარეობს ვაუჩერების უკონტროლო ემისია - ანუ იბეჭდება დაუსაქმებელი ვაუჩერების დიდი მასა. ესეც არ არის გამორიცხული. მაგრამ მთავარი ისაა, რომ პრივატიზაცია რეალურად არ მიმდინარეობს, ყველაფერი უკვე დიდი ხნის გაყიდულია და ხელში ჩაუვარდა იგივე კომუნისტურ სტრუქტურებს, ან პიროვნებებს, რომლებმაც მხოლოდ აბრა შეიცვალეს და რომელთაც სულ რაღაც ხუთი წლის წინ ყველაფერი ეს ეკუთვნოდათ, მაგრამ არაკანონიერად. ახლა უკვე იკანონებენ და ხვალ ამის თაობაზე ვერავინ შეედავება.

*(იბეჭდება შემოკლებით)*


# TAVISUPALI SAKARTVELO

**(FREE GEORGIA)**

**No30 (in brief)**

**19 - 25 December, 1995**


## Konstantin Pirtskhalava is Arrested

As it became known from the official sources, the member of the exiled Supreme Council Mr. Konstantin Pirtskhalava has been arrested in Moscow.

The circumstances of his arrest are unknown. As for the motive of his arrest, one can suggest that he will be charged with the same accusations as other participants of the "Zviad Gamsakhurdia and His Supporters Case" who presently are under the preliminary investigation. To this testifies the fact that at the ongoing Court hearing of Zaur Kobalia the name of Konstantin Pirtskhalava is often cited.

## Who will Be the Lawyer of Loti Kobalia?

The Law which to a significant extent limits the rights of the lawyer and defendant is already in effect.

The preliminary investigation of Vakhtang (Loti) Kobalia Case is over and the case was passed to the Supreme Court for hearing. As it became known to us, the case will be heard by the Court Board chaired by judge Aladashvili. Court investigation is expected to begin in the beginning of January. Meanwhile, the Board had already rejected the candidature of the lawyer Mr. Merab Navrozashvili who was selected by the defendant.

The Court Board justifies its decision by the Law adopted on April 5, 1995, referring namely to the amendment introduced into Article 46 of Criminal Code of the Republic of Georgia according to which: "One and the same person (a lawyer) cannot be the defender of two suspects, defendants". Since M. Navrozashvili was defending the defendant Nugzar Molodinashvili in the course of the preliminary investigation, the Court Board believes that he has no right to defend V. Kobalia. According to the opinion of the competent barristers, though the above law does contain such statement, it does not indicate that the lawyer who defended one of the participant of the Case at the stage of preliminary investigation only and later annulled his agreement with the defendant, is not allowed to defend another participant of the same Case during the Court hearing of the Case. The Law which lacks concrete formulation always causes arguments.

Irrespective of the fact, that the barristers believe, that in this case nothing is left to debate, since there exists #14 Statement of the Plenary Session of the Supreme Court of April 29, 1992 about the presumption of innocence and the right of the suspect, defendant and convict for defense which recognizes the superiority of the international norms over the Laws of Georgia.

Thus, the Law of April 5, 1995 contradicts not only the above Statement of the Plenary Session, but also the Act of Restoration of State Independence, Norms of International Law and New Constitution.

## Levan Mamaladze Has Not Seen Blocked Roads

On December 11 at the Court hearing of the political prisoner Zaur Kobalia were interrogated two witnesses. The first of them - Alexandre Gamisonia - served as a policeman of Zugdidi police in 1993. As it turned out his testimony given during the preliminary investigation had absolutely nothing to do with Zaur Kobalia's Case. It seems, that Mr. Gamisonia's testimony concerning Vakhtang Kobalia Case was mechanically transferred into the Case of Zaur Kobalia, due to which fact even the judge L. Sakvarelidze failed to hide his surprise.

The witness Gamisonia when asked by the Prosecutor whether he was working in Zugdidi Police in the period when Gia Gulua was detained and whether Zaur Kobalia, Kote Pirtskhalava and others used to come to interrogate Gia Gulua, answered that he was on duty in the police every fourth day and during his being on duty he had never seen the above persons.

On the same day was interrogated another witness - Mr. Levan Mamaladze, a the confidant of Kvemo Kartli Region. he said:"In 1993 when the roads from Poti to Tbilisi were blocked, the Parliament raised this issue and a Commission headed by Vazha Adamia was formed. I asked to put my name into the list of Commission members. We arrived to Zugdidi to the Guards Headquarters where we were expecting to meet Zaur Kobalia since we were told that he would explain us everything. Mr. Kobalia came and we had a friendly conversation. Then we went to the local governmental office and entered the room which was located next to the door with note saying "Prime Minister". We felt the strained attitude of the surrounding people. Then came Loti Kobalia, Zaur Kobalia, Cheheidze, Molodinashvili, Baratashvili, Gelantia. We sat round the table and had a rather strained conversation about the legality of the Parliament. Since our group was mainly represented by the opposition parties our hosts had special grudges against is.

We were interested in the issue of blocked roads. Loti kept saying that he was a military officer and would do everything he would be ordered. Zaur Kobalia as a head of delegation said that the governmental army should withdraw behind Likhi. They told us that in that case they would not enter Samtredia. I told that Loti's detachment was disposed in the vicinities of Samtredia and the government would never agree to that. This meeting did not give any results". Zaur Kobalia asked the witness: "Did we speak during this meeting about cessation of armed opposition?" - "That is right. It was said that the bloodshed should be avoided" - "Your aim was to see the roads. Have you seen that the roads were blocked?", asked the defendant. The witness answered that he did not see the roads since he was not taken to Poti. As for other roads they were not blocked.

S.Guramishvili

## The Lawyers Are Deprived of the Right to Defend their Clients

This is an opinion of the lawyer Ketevan Bekauri, commenting the Statement "On the Amendments and Changes in the Criminal Code" of April 5, 1995.

Correspondent: How do you estimating Law? It is based on the principles of democracy and will it help the authorities to find out the truth?

Ketevan Bekauri: Considering the democratic principles and the fact that in Georgia is recognized the priority of the norms of international justice over the legislation of Georgia, this statement of the Parliament actually deprives the lawyers of the right to really and objectively realize the right for defense. This impacts the rights of the defendant, suspect and convict at any stage of investigation - preliminary or Court investigation.

The 5th paragraph of Article 3 of this Statement unambiguously defines what materials can be given to the lawyer to get familiar with from the moment of bringing charge against the defendant. The lawyer is actually deprived of the possibility to fully get familiar with all materials of the investigation which is absolutely intolerable. According to this Law in case of group crime the investigator should provide the lawyer only with the interrogation protocols of his defendant so that the lawyer remains completely unaware of what testimonies were given by other suspects.

Hence, all speculations on democracy and lawyers' rights are futile.

Corr.: - The recent political Court hearings demonstrated, that the Court too often ignores the lawful rights of the defendants and the lawyers. Dopes this Statement change the situation to the better in this respect?

K.B. On the contrary, it aggravates the situation with defense. The same Article 3 directly indicates that "The lawyer does not have the right artificially prolong the hearing". This gives the judge the right to refuse to accept the motion of the lawyer and the defendant under the pretense, that they wish to prolong the Court hearing.

When I was defending Zurab Bardzimashvili at the Court hearing of the so-called "Chikovani Street Case" I have had a bitter experience of that. My defendant had a history of about 50 serious illnesses, and in the course of investigation he was subjected neither to forensic nor to psychiatric examination. My motion about conducting these examinations was rejected by the State Prosecutor exactly under the pretense that this would prolong the Court hearing procedure.

Corr.: Does the Statement contain any definition of what can be considered as an attempt of prolonging of Court hearing? Is not there a danger, that any attempt of the lawyer to comprehensively realize the defense would be qualified as prolonging of Court hearing?

K.B.: I won't be surprised if it happens exactly as you say, and then the defendant in the course of investigation and prisoner at the bar in the course of Court hearing can find himself without any defense. Everything is indicative of such development of the events.

Corr.: Is your opinion shared by other lawyers?

K.B. : This Statement became a subject of broad discussion in the lawyers' circle. We are already working on the raising the issue of its changing. That this Law should be revised is out of question, however the question is whether this goal is achievable at all.


მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე | მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE | Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia